



საქართველო აწესებს საუკეთესო წლიური ანგარიშის და გამჭვირვალობის ჯილდოს ევროკავშირისა და მსოფლიო ბანკის ერთობლივი ინიციატივით

თბილისი, 17 დეკემბერი, 2019 – მსოფლიო ბანკის ბიზნესის წარმოების სიმარტივის ბოლოდროინდელი ინდექსის თანახმად, საქართველოს მე-7 ადგილი უკავია და ბიზნესის ხელშემწყობ განსაკუთრებულ ქვეყნად ითვლება, თუმცა ქვეყანა გამოწვევების წინაშე დგას ქართული კომპანიების კორპორაციული ანგარიშგების ხარისხის და გამჭვირვალობის დონის მიხედვით.

აღნიშნული გამოწვევების დასაძლევად ბუღალტრული აღრიცხვის, აუდიტის და ანგარიშგების რეფორმების მხარდაჭერის ეროვნულმა ფონდმა (RSF) საუკეთესო წლიური ანგარიშის და გამჭვირვალობის ჯილდო დააწესა ევროკავშირის და მსოფლიო ბანკის ფინანსური ჩართულობის და ანგარიშვალდებულების ერთობლივი პროექტის ხელშეწყობით.

“ევროკავშირი ულოცავს საქართველოს, რამდენადაც მისი კომპანიები შედიან ფინანსური ანგარიშგების და გამჭვირვალობის „პირველ ლიგაში“. ეს კარგია ბიზნესისა და ინვესტორებისთვის და საქართველოს ეკონომიკური განვითარებისთვის,“ აღნიშნა საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის პროექტების განყოფილების უფროსმა, ვინსენტ რეიმ.

2017 წელს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედების შემდეგ, აღნიშნული წლიური ჯილდოს მიზანია ანგარიშგების ახალ წესებთან შესაბამისობის ხელშეწყობა, კომპანიებს შორის ჯანსაღი კონკურენციის წახალისება და კორპორაციული ანგარიშგების საერთო სტანდარტის ამაღლება ქვეყნის მიერ ინვესტორთა ნდობის ზრდის პროცესში როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე.

“აქამდე კორპორაციული ინფორმაციის სამყარო ინვესტორებისა და საზოგადოებისათვის სრულად დახურული იყო“, განაცხადა სამხრეთ კავკასიაში მსოფლიო ბანკის რეგიონულმა დირექტორმა, სებასტიან მოლინეუსმა. მისივე თქმით: “ინფორმაციის ნაკლებობას ხშირად შედეგად მოჰყვებოდა ინფორმაციული ასიმეტრია, რაც ხელის შემშლელია კარგი გადაწყვეტილებების მიღებისა და რესურსის სწორი გადანაწილებისათვის. ახლა, საქართველოს კანონმდებლობა დაუახლოვდა ევროპულს და დროა გაუმჯობესდეს საჯაროდ ხელმისაწვდომი კორპორაციული ინფორმაციის ხარისხიც.”

საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში ჩატარებულ დაჯილდოების ცერემონიაზე იყო წარმოდგენილი 16 ნომინანტი კომპანია. გამარჯვებული საწარმოები კომპეტენტურმა საერთაშორისო ჟიურიმ გამოავლინა. შერჩევის პროცესი მტკიცე მეთოდოლოგიის გამოყენებით ჩატარდა, რომელმაც სხვა საკითხებთან ერთად ხაზი გაუსვა არასაფინანსო ინფორმაციის მიწოდების მნიშვნელობას ისეთი არამატერიალური აქტივების შესახებ, როგორებიცაა ბრენდი, მომხმარებელთა შორის რეპუტაცია, „ნოუ-ჰაუ“ და კეთილი ნება, და რომლებიც კორპორაციულ ღირებულებას ქმნიან.

დღეს სამ კატეგორიაში გამოცხადებული გამარჯვებული კომპანიები არიან:

- მსხვილი ფინანსური ინსტიტუტები – სს „თიბისი ბანკი“
- მსხვილი არაფინანსური ინსტიტუტები (500 ან მეტი დასაქმებულით) – სს „თელასი“
- მცირე კომპანიები (500-ზე ნაკლები დასაქმებულით) – შპს „საქართველოს სალიზინგო კომპანია“
- საპატიო ჯილდო - სს „კრისტალი“

“მიუხედავად იმისა, რომ გამარჯვებულთა რაოდენობა მხოლოდ სამია, ყველა ნომინანტი იმსახურებს აღიარებას. თითოეულმა მათგანმა დააკმაყოფილა თავდაპირველი შერჩევის შედეგად მომდევნო ეტაპზე გადასვლის მკაცრი მოთხოვნები. იმედია, სხვა კომპანიები გამარჯვებულებისგან ბევრს ისწავლიან. მეგობრული კონკურენცია ამაღლებს ანგარიშგების საერთო ხარისხს და ამ მიმართულებით სიტუაციის გაუმჯობესება ყველას მოუტანს სარგებელს, “ აღნიშნა ბუღალტრული აღრიცხვის, აუდიტის და ანგარიშგების რეფორმების მხარდაჭერის ეროვნული ფონდის (RSF) აღმასრულებელმა თავმჯდომარემ, გიორგი თაბუაშვილმა .

წელს კონკურსში მონაწილეობდნენ მხოლოდ საქართველოს საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვებული კომპანიები: ეს ის კომპანიებია, რომლებიც დამოკიდებულნი არიან ქართველი და უცხოელი ინვესტორების დაფინანსებაზე. 2020 წელს და მომდევნო პერიოდში კი კონკურსის ფარგლები გაფართოვდება და სავარაუდოდ მოიცავს საფონდო ბირჟის სიის გარეთ მყოფ კომპანიებსაც.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად *საუკეთესო წლიური ანგარიშის და გამჭვირვალობის ჯილდოს* შესახებ ეწვიეთ ოფიციალურ ვებგვერდს: <https://sites.google.com/view/rsf-award/home>

დამატებითი ინფორმაციისთვის საქართველოში მსოფლიო ბანკის საქმიანობის შესახებ იხ.

ვებგვერდი: <http://www.worldbank.org/ge>

შემოგვიერთდით Facebook -ზე: <https://www.facebook.com/WorldBankEuropeCentralAsia>

საკონტაქტო პირები:

საქართველოში: ლეონიდ მუჯირი, (+ 995 32) 913 096, (+995 99) 009 - 398 , lmujiri@worldbank.org
ვაშინგტონში: სონა ფანაჯიანი, + 1 (202) 473 - 9751, spanajyan@worldbank.org